

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის**

ოქმი № 5

ქ. ლანჩხუთი

25.11.2019 წელი

15.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე**;

კომისიის წევრები: ბესიკ კუპრაძე, კარლო კვიტაიშვილი, გიორგი გვარჯალაძე, კახა თედორაძე, რეზო კვაჭაძე, ზაალ სანაძე, რეზო კვერენჩილაძე.

მოწვეული სტუმარი: სუფსის ადმინისტრაციული ერთეულში მცხოვრები **ნინო გოგოხია**.

სხდომას ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **მაია კუპატაძე**, საკრებულოს მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია**.

სხდომის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/

3. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

კომისიის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 8; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ**. მან განაცხადა, რომ 2020-2023 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;

- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

განკარგულების პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ რაიმე სახის შენიშვნები არ გამოთქმულა

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის სხდომას განსახილველად.

მომხრე 8: წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ**. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა მიმდინარე წლის შემოსავლების მობილიზაციის საკითხი და წინა ორი წლის ფაქტობრივი მდგომარეობა. ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 10 030,6 ათასი ლარით. ამთგან გადასახადები შეადგენს 8 796, 4 ათას ლარს, გრანტები 220 000 ლარს, ხოლო სხვა შემოსავლები შეადგენს 1 014 2 ათას ლარს, წინა წლებისგან განსხვავებით 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტის შემოსავლებში არ აისახება საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მთლიანად მიიმართება ცენტრალურ ბიუჯეტში. ასევე გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი და მის ნაცვლად ადგილობრივ ბიუჯეტებში მიიმართება დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელიც შეადგენს 7 496,4 ათას ლარს აღნიშნული ცვლილებები მიღებულია ქვეყნის პარლამენტის მიერ. ქონების გადასახადი რომელიც ასი პროცენტით შევა ადგილობრივ ბიუჯეტში, შეადგენს 1 300 000 ლარს. 220 000 ლარი წარმოადგენს მიზნობრივ ტრანსფერს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. სხვა შემოსავლები შეადგენს 1 014,2 ათას ლარს. ადგილობრივ ბიუჯეტში ასევე ასახული იქნება კაპიტალური ტრანსფერი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა სკოლამდელი დაწესებულების შესახებ და აღნიშნა, რომ ამ მხრივ მუნიციპალიტეტი საკმაოდ წარმატებულია, მაგრამ ერთ-ერთი პრობლემური საკითხია ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის მიზერული შრომის ანაზღაურება. შეუსაბამოა ასეთი პასუხისმგებელიანი და შრომატევადი სამუშაოს შესრულება წარმოდგენილი ანაზღაურების ფასად.

კარლო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი“-ს ბაგა-ბაღებში დასაქმებულ პერსონალს აუცილებლად უნდა გაეზარდოთ სახელფასო ანაზღაურება.

კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია მერიასა და საკრებულოში ხელფასების მოწესრიგება, რომელიც სასურველია შეეხოს ყველა რანგის სპეციალისტს.

რეზო კვაჭაძემ აღნიშნა, რომ რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობისათვის ბიუჯეტში გამოყოფილია 40 000 ლარი. მიიჩნევს, რომ აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე მონასტრებს მოხმარდეს საჭიროების შემთხვევაში.

კახა თედორაძემ განაცხადა, რომ სოფლებში მერის წარმომადგენლებს გაეზარდოთ საწვავის ლიმიტი, ასევე ტელეფონზე სასაუბრო თანხა.

გიორგი გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია მუნიციპალიტეტმა შეიძინოს მძიმე ტექნიკა, კერძოდ ერთეული გრეიდერი და ექსკავატორი, რადგანაც ჩვენს მუნიციპალიტეტში ხშირია სტიქია და სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან უხდებათ ტექნიკის ქირაობა.

კომისიის წევრებმა ასევე განაცხადეს, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს „მეტადონის“ მომხმარებლებისთვის სპეციალური მომსახურება, მათ სხვადასხვა ქალაქებში უწევთ სიარული, რაც ხარჯებთანაა დაკავშირებული. სასურველია გათვალისწინებულ იქნას მათი მოთხოვნა და ადგილზე გაიხსნას შესაბამისი მომსახურების ცენტრი.

კომისიის წევრებმა ასევე აღნიშნეს, რომ „ბიკარბონატული ჰემოდიალიზით - თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა“ მხოლოდ ბენეფიციარის სატრანსპორტო ხარჯებს ითვალისწინებს, თუმცა ის მარტო ვერ ახერხებს გადაადგილებას და საჭიროა თანხის გაზრდა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს თანმხლებ პირთა სატრანსპორტო ხარჯიც. სასურველია ჩვენს მუნიციპალიტეტში მოეწყოს აღნიშნული დაავადების მქონე ბენეფიციართათვის სამედიცინო მომსახურების კაბინეტი.

ზაალ სანაძემ აღნიშნა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლები პრობლემებს უქმნის მოქალაქეებს. აუცილებელია გამოიყოს თანხა, რათა მოეწყოს მაწანწალა ძაღლების თავშესაფარი.

კომისიის თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ** განაცხადა, რომ ბიუჯეტში მუხლობრივად განისაზღვროს ძაღადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე ქალთა დახმარებისთვის წლიურად - 5 000 ლარის ოდენობით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: 1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გამოთქმული შენიშვნებით და რეკომენდაციებით დაბრუნებული იქნეს მერიაში.

მომხრე 8; წინააღმდეგი არცერთი

3. სხვადასხვა

1. კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** კომისიას გააცნო სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები (აფხაზეთიდან დევნილი) **ნინო გოგოხია**.

ნინო გოგოხიამ განაცხადა, რომ მან 2012 წელს მუშობა დაიწყო სუფსის სააღმზრდელო ცენტრში ძიძა-მომვლელის პოზიციაზე, შემდგომ მოხდა მისი დაწინაურება და ამჟამად უფროსი აღმზრდელის თანამემწეა. ის ყოველდღიურ სამუშაო პროცესშია ჩართული და აქტიურად ეხმარება აღმზრდელს, ასევე აქვს მენეჯერის წერილობითი დახასიათება. მან გამოთქვა უკმაყოფილება რომ, სამჯერ გამონთავისუფლდა უფროსი აღმზრდელის ვაკანსია და არ მოხდა მისი სპეციალობით დანიშვნა. მისი თხოვნაა, გაარკვიონ თუ რატომ არ მოხდა მისი უფროსი აღმზრდელის თანამდებობაზე გადაყვანა.

კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის“ ხელმძღვანელს, ნატა კობალავას აუცილებლად მოიწვევენ უახლოეს კომისიის სხდომაზე, შეისწავლიან აღნიშნულ საკითხს, რომ რაიმე კანონდარღვევას არ ჰქონდეს ადგილი და პასუხს დაუყოვნებლივ წერილობით მიაწვდიან.

2. კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** კომისიას გააცნო ლანჩუთელი ვეტერანების ერთობლივი განცხადება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზესიკ ტაბიძეს
ლანჩხუთელი ფეტვრანების ერთობლივი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს მრავალი საუკუნის განმავლობაში უწყვედა ბრძოლა დამოუკიდებლობის დაცვისა თუ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული ადგილი ყოველთვის ეჭირათ ჩვენი ქვეყნის ჯარისკაცებს, ქართველ მეომრებს რომელთაც ისტორიის მანძილზე არაერთი ომი მოეცეს ან დამარცხდნენ, მაგრამ ამის მიუხედავად ქვეყანა გადაარჩინეს, მომავალ თაობებს შეუპოვრობისა და გაუტეხელობის მაგალითი მისცეს. ასევე უნდა ითქვას ისიც, რომ ქართველებთან ერთად ჩვენი ქვეყნისათვის ბრძოლაში თავი სხვა ქვეყნის შვილებსაც დაუდევთ, ყოველგვარი ანგარების გარეშე. იქნება ეს აფხაზეთში საქართველოს ერთიანობისთვის 1992-1993 წლებში რუსეთთან და მის მიერ წაქეზებულ სეპარატისტებთან მიმდინარე ომის უკრაინელი მოხალისე მეომრები თუ რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომში მონაწილე ჩრდილო კავკასიელ და აზერბაიჯანელ ცხენოსანთა ასეულის ჯარისკაცები. ქართველ მეომართა სახელის დაფასებასთან ერთად ვფიქრობთ რომ აუცილებელია ჩვენი ქვეყნისათვის მებრძოლი უცხო ქვეყნების შვილების ღვაწლიც და დამსახურებაც შემოვლნახოთ მომავალ თაობებს და ამით ჩვენი მადლიერება გამოვხატოთ, პატარა ერის თავდაცვით ბრძოლებში მონაწილე სამართლიანი მებრძოლებისადმი. ერთ-ერთ მსგავს მაგალითზე მივყავართ თქვენი ყურადღება.

პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას 1917 წელს, რუსეთში მოხდა თებერვლის რევოლუცია და შემდეგ კი ბოლშევიკური გადატრიალება. ბოლშევიკებს არ დაემორჩილა ამიერკავკასია და ჩამოყალიბდა ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატი, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის სეიმი, 1918 წლის აპრილში კი ამიერკავკასიის ფედერაცია. რასაც მალევე მაისში საქართველოს დამოუკიდებლობაც მოჰყვა. დამოუკიდებელ ამიერკავკასიას და მის ცენტრს საქართველოს 1918 წლის მარტსა და აპრილში ძალიან მძიმე მდგომარეობა შეექმნა. პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე ამიერკავკასიას ოსმალურმა

კ ბ ?

არმიამ შეუტია. ამ პერიოდში ამიერკავკასიაში ყალიბდებოდა ეროვნული საარმიო კორპუსები. საქართველოში ყალიბდებოდა ქართული საარმიო კორპუსი, რომელსაც სათავეში ედგა გენერალი ვასილ გაბაშვილი. 1918 წლის პირველ აპრილს ოსმალურმა არმიამ ბათუმში დაიკავა. ბათუმის დაკარგვის შემდეგ ქართული ჯარი მდინარე ჩოლოქის მისადგომებთან განლაგდა. ჯარების ამ დაჯგუფებას სათავეში ჩაუდგა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, რომელთანაც საკუთარი სურვილით გამოცხადდა გენერალური შტაბის პოლკოვნიკი მიხეილ ივანეს-ძე კოსტილი. გენერალმა მაზნიაშვილმა იგი საკუთარი საბრძოლო ჯგუფის შტაბის უფროსად დანიშნა, სულ მალე გენერალი გიორგი მაზნიაშვილი ქართული კორპუსის პირველი დივიზიის სარდლად დაინიშნა, ხოლო პოლკოვნიკი კოსტილი კი ამ დივიზიის შტაბის უფროსი გახდა. პოლკოვნიკი კოსტილი ეროვნებით რუსი გახლდათ, პირველი მსოფლიო ომის დროს მან გენერალური შტაბის აკადემიის დაჩქარებული კურსი დაამთავრა, შემდეგ მსახურობდა პლასტუნთა მე-15 ბატალიონში, ხოლო 1918 წლის აპრილის დასაწყისში ის შევიდა ქართულ საარმიო კორპუსში და გახდა პირველი ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი. პოლკოვნიკმა კოსტილმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გურიის ტერიტორიაზე, ჩოლოქისა და ვაშნარის ბრძოლებში, როგორც ნიჭიერმა და უნარიანმა შტაბის უფროსმა, მის გვერდით რეგულარული ჯარისა და გვარდიის ნაწილებთან ერთად იბრძოდნენ გურული მოხალისეებიც (მათ შორის ლანჩხუთელი მოხალისეებიც, ბევრი მათგანი დაეცა კიდეც ბრძოლის ველზე). პოლკოვნიკი კოსტილი მიუხედავად იმისა, რომ ვაშნარის ბრძოლაში ფეხში დაიჭრა მაინც არ გამოვიდა მწყობრიდან და ბოლომდე შეასრულა გენერალ მაზნიაშვილის დავალება. სამწუხაროდ ძალიან მალე, ლანჩხუთში სადაც იმ დროისათვის განთავსებული იყო პირველი დივიზიის შტაბი, სამსახურობრივი მოვალეობის შესრულების დროს პოლკოვნიკი კოსტილი მოკლა არტილერიის პრაპორშჩიკმა წერეთელმა, რომელიც სამხედრო სასამართლოს გადასცეს და დაატუსაღეს. საქართველოს ეროვნული გმირი გენერალი გიორგი მაზნიაშვილი დიდად აფასებდა პოლკოვნიკ კოსტილს, მის შესაძლებლობებსა და დამსახურებას ჩვენი სამშობლოს წინაშე, ამიტომ ამ ამბებიდან 9 წლის შემდეგ საკუთარ მემუარებში ასე იხსენებდა ყოფილ თანამებრძოლს: „ დივიზიამ დაჰკარგა მამაცი და კარგი მუშაკი, რომელმაც მთელი

თავისი ენერგია და ცოდნა საქართველოს ინტერესებს შეაღია. საუკუნო ხსენება იყოს შენი , გულადო და პატიოსანო მეომარო." ვფიქრობთ, რომ პოლკოვნიკ კოსტილის დამსახურება იმდენია ჩვენი ქვეყნისათვის, რომ ქალაქ ღანჩუტში, რკინიგზის სადგურზე, სადაც მოკლეს პოლკოვნიკი, განთავსდეს მისი მემორიალური დაფა, სადაც აღნიშნული იქნება მისი დამსახურება და ასევე ეწერება გენერალ მაზნიაშვილის ეპიტაფია. ამით ჩვენ კიდევ ერთხელ დავანახებთ ყველას, რომ საქართველო არ ივიწყებს მისთვის მებრძოლ მეომრებს, იქნებინ ისინი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, თუ უცხო ქვეყნის შვილები რომლებიც საკუთარი სურვილით ჩადგნენ ჩვენი ქვეყნის სამსახურში, ღირსეულად ემსახურნენ მას და აქვე აღესრულნენ.

მემორიალური დაფის საგარეუდო შინაარსი

პოლკოვნიკი მიხეილ კოსტილი

ამიერკავკასიის არმიის , ქართული ეროვნული კორპუსის პირველი დივიზიის შტაბის უფროსი. 1918 წლის ჩოლოქისა და ვაშნარის ბრძოლების აქტიური მონაწილე. დაიჭრა ვაშნარის ბრძოლაში. 1918 წლის მაისში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, მუხანათურად მოკლა არტილერიის პრაპორშეიკმა.

„ დივიზიამ დაჰკარგა მამაცი და კარგი მუშაკი, რომელმაც მთელი თავისი ენერგია და ცოდნა საქართველოს ინტერესებს შეაღია. საუკუნო ხსენება იყოს შენი , გულადო და პატიოსანო მეომარო."

გენერალი გიორგი მაზნიაშვილი

ხელმოწერა

არჩილ ზოფერია

აფხაზეთის 1992-1993 და 2008

წლების ომის მონაწილე, ვეტერანი

ხელმოწერა დიმიტრი სილაქაძე

ისტორიკოსი

ომის ვეტერანი 1992-1993 და 2008 წლების,

ხელმოწერა ელგუჯა ჩხაიძე

დავით ჯვართავა

ომის ვეტერანი 1992-1993 წლების , ალექო კუკულაძე

№ 591007795

0.5437


კომისიის წევრებმა ერთობლივად განაცხადეს, რომ თანახმა არიან ლანჩხუთში, რკინიგზის სადგურზე, სადაც მოკლეს პოლკოვნიკი კოსტილი (მიხეილ კოსტავა), განთავსდეს მისი მემორიალური დაფა.

3. კომისიის თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ** კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდამჭერი ცენტრის წარმომადგენლის, ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული საბჭოს წევრის **ნონა მურვანიძის** მოხსენებითი ბარათი (N421.25.11.2019 წელი). მისი თხოვნაა, რომ 2020 წლის ბიუჯეტი იყოს გენდერული. ოჯახური ძალადობის შედეგად მსხვერპლის სტატუსის მქონე ქალებისთვის მხარდაჭერა სასიცოცხლოდ აუცილებელია. ამისათვის სასურველია ბიუჯეტში მუხლობრივად განისაზღვროს ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე ქალთა დახმარებისთვის, წლიურად 2 000 ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აუცილებლად მიაწვდიან მერიას აღნიშნულ საკითხს და იმედოვნებს, რომ დადებითად გადაწყდება.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე



ემზარ თევდორაძე

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების,
კულტურისა და ახალგაზრდულ
საქმეთა კომისია**

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის № 5 სხდომის
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი

25.11.2019 წ.

15:00 საათი

2019 წლის 25 ნოემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს 2019 წლის 29 ნოემბრის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

კომისიაზე გამოითქვა შემდეგი სახის შენიშვნები:


1. კარლო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი“-ს აღმზრდელებს მოემატოთ ანაზღაურება.
2. კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია მერიასა და საკრებულოში ხელფასების მოწესრიგება, რომელიც სასურველია შეეხოთ ყველა რანგის სპეციალისტს.
3. **რეზო კვაჭაძემ** აღნიშნა, რომ რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობისათვის ბიუჯეტში გამოყოფილია 40 000 ლარი. მიიჩნევს, რომ აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე მონასტრებს მოხმარდეს საჭიროების შემთხვევაში.
4. **კახა თედორაძემ** განაცხადა, რომ სოფლებში მერის წარმომადგენლებს გაეზარდოთ საწვავის ლიმიტი, ასევე ტელეფონზე სასაუბრო თანხა.
5. **გიორგი გვარჯალაძემ** აღნიშნა, რომ აუცილებელია მუნიციპალიტეტმა შეიძინოს მძიმე ტექნიკა, კერძოდ გრიდერი და ექსკავატორი, რადგანაც ჩვენს მუნიციპალიტეტში ხშირია სტიქია და სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან უხდებათ ტექნიკის ქირაობა.
6. კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს „მეტადონის“ მომხმარებლებისთვის სპეციალური მომსახურება, მათ სხვადასხვა ქალაქებში უწევთ წასვლა, რაც ხარჯებთანაა დაკავშირებული. სასურველია გათვალისწინებულ იქნას მათი მოთხოვნა და ადგილზე გაიხსნას მათი მომსახურების ცენტრი.
7. კომისიის წევრებმა ასევე აღნიშნეს, რომ „ბიკარბონატული ჰემოდიალიზით - თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა“ მხოლოდ ბენეფიციარის სატრანსპორტო ხარჯებს ითვალისწინებს, თუმცა ის მარტო ვერ ახერხებს გადაადგილებას და საჭიროა თანხის გაზრდა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს თანმხლებ პირთა სატრანსპორტო ხარჯიც. სასურველია ჩვენს მუნიციპალიტეტში მოეწყოს აღნიშნული დაავადების მქონე ბენეფიციართათვის სამედიცინო მომსახურების კაბინეტი.
8. **ზაალ სანაძემ** განაცხადა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების პრობლემებს უქმნის მოქალაქეებს. აუცილებელია გამოიყოს თანხა, რათა მოეწყოს მაწანწალა ძაღლების თავშესაფარი.
9. **ემზარ თევდორაძემ** განაცხადა, რომ ბიუჯეტში მუხლობრივად განისაზღვროს ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე ქალთა დახმარებისთვის წლიურად 5 000 ლარის ოდენობით.
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გამოთქმული შენიშვნებით და რეკომენდაციებით დაბრუნებული იქნეს მერიამ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

 **ემზარ თევდორაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
25. 11. 2019 წელი
15. 00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – ეშვარ თევდორაძე	14 ⁵⁵	
2. კარლო კვიტაიშვილი	14 ⁵⁵	
3. გოდერძი ქურიძე	—	მ. კახიშვილი
4. კახა თევდორაძე	14 ⁵⁰	
5. რეზო კვაჭაძე	14:50	ნ. 
6. ზაალ სანაძე	14 ⁵⁵	
7. ზესიკ კუპრაძე	14 ⁵⁷	მ. დოჭ
8. ამირან ქანთარია	—	მ. კახიშვილი
9. გიორგი გვარჯალაძე	15 ⁰⁰	მ. კახიშვილი
10. რეზო კვერენჭილაძე	14 ⁵⁹	მ. კახიშვილი
11. ელისო ჭიჭინაძე	—	მ. კახიშვილი
12. ამირან გიგინეიშვილი	—	მ. კახიშვილი
13. ლელა ჩახვაძე	—	მ. კახიშვილი
14. ცისანა ურუშაძე	—	მ. კახიშვილი